საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/05

ქ. ბათუმი 22 იანვარი, 2019 წ

წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით ბსუ-ში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, „ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 02 დეკემბრის N01- 11/79 ბრძანების, „წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N16 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N16 განკარგულების აღსრულების მიზნით ბსუ-ში გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) **დაევალოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს** უზრუნველყოს ბსუ-ს სტუდენტთათვის (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის) და პროფესიულ სტუდენტთათვის წერილობითი შეტყობინებების დაგზავნა (სტუდენტური პორტალისა ან/და სხვა ელექტრონული რესურსების საშუალებით), რათა უმოკლეს ვადაში გამოვლინდეს ის პირები, რომლებიც საჭიროებენ წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინის 1 დოზით ვაქცინაციას, თანახმად საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N16 განკარგულებისა;

ბ) **დაევალოს ბსუ-ს სტუდენტებს და პროფესიულ სტუდენტებს, ბსუ-ს ადმინისტრაციიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ** წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინაციის ჩატარების შესახებ ინფორმაციის (დადებით შემთხვევაში - ჩატარების დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის) უმოკლეს ვადაში წარმოდგენა. სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების მხრიდან აღნიშნული ვალდებულია შეუსრულებლობის შემთხვევაში ბსუ-ს ადმინისტრაცია განიხილავს ამ პირთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საკითხს;

გ) **დაევალოს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს/პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს,** უზრუნველყონ შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/ცნობების დამუშავება და წითელას ვაქცინაციას დაქვემდებარებული პირების სიის, ასევე იმ პირთა სიისა და თანდართული დოკუმენტების, რომლებსაც ჩატარებული აქვთ წითელას ვაქცინაცია, ბსუ-ს რექტორისათვის წარმოდგენა;

დ) **დაევალოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ბსუ-ს სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელს (ექიმს), ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ფაკულტეტების დეკანებს,** შექმნან სამუშაო ჯგუფი, რათა ორგანიზება გაეწიოს ბსუ-ს შენობაში, არაგეგმიური იმონოპროფილაქტიკის მიზნით ბსუ-ს სტუდეტების/პროფესიული სტუდენტების/ბსუ-ს პერსონალისათვის წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინაციის ჩატარებას და აღნიშნულის შესახებ წერილობითი ინფორმაციის თანდართული ცნობებით ბსუ-ს რექტორისათვის წარმოდგენა.

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანატებთან და კანცელარიასთან თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე), ასევე განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**